პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 110 (13231) | ოთხშაბათი, 12 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- მშვიდობა, აღმშენებლობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის!
- მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — სხოვრებაში
- საზღვარგარეთის ახალი ამბები

200.000 ტონა ჩაის ფოთოლი

დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

მახარაძე. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობების წევრები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მეოდწლედის დამამთავრებელ წელს მოკრიფონ და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარონ 39.200 ტონა ჩაის ფოთოლი, ანაათან ერთად ისე მოაწყონ მუშაობა, რომ მაის-ივნისში მოკრიფონ წლიური გეგმის 60 პროცენტი, მტკიცედ დაიცვან ფოთლის ხარისხი.

უკვე შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პირველი სასიხარულო ცნობა სოფელ კონკოთის კოლმეურნეობიდან მოვიდა — დაიწყო ფოთლის შერჩევითი კრეფა. აქაურმა მეჩაიეებმა პირველ დღესვე ასეულობით კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). მეჩაიეები გავიდნენ პლანტაციებში. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშები დილიდან გვიან საღამომდე შერჩევით კრეფდნენ ნორჩ დუყებს, ფოთლის შერჩევით კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ჭახნაურისა და ახალშენის საბჭოთა მეურნეობები, სოფელ თხილნარისა და ახალსოფლის კოლმეურნეობები.

უპაზაკებენ სამშობლოს

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. პეინტრაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მამალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ლოლიძემ, — ჩოხატაურელმა მშრომელებმა 8 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 105,2 პროცენტით. ნაცვლად 700 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 737 ცენტნერი ხორცი, კვერცხი მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 100,1 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

წინ, ლენინური გზით

საბჭოთა ადამიანებმა გერმანიის ფაშიზმზე დიადი გამარჯვების სახელოვანი მეოცე წლისთავი აღნიშნეს როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. უდიდესი პატრიოტული აღმავლობა, რასაც მაისის ამ დღეებში განიცდის ჩვენი ხალხი, მკაფიოდ გამოვლინდა საზეიმო კრებაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში. კრებებსა და მიტინგებზე ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში. სამხედრო პარადებმა, რომლებიც გამარჯვების დღის გაიმართა წითელ მოედანზე მოსკოვში, ლენინგრადში, მოქალაქეთა რესპუბლიკების დედაქალაქებსა და ბევრ სხვა ქალაქში, ცხადყო ჩვენი მამაცი საბჭოთა არმიის გაზრდილი ძლიერება. მისი ერთგულება დიდი სამამულო ომის გმირული ტრადიციებისადმი.

არაფერი არ დაგვიწყებია, არავინ არ დაგვიწყებია! ამ ხატოვანი სიტყვებით შეიძლება გამოთქვათ გამარჯვების სახალხო დღესასწაულის სულისკვეთება და აზრი. საბჭოთა ადამიანებმა ყველგან უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონეს ისინი, ვინც გმირულად შესწირა სიცოცხლი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ხალხმა ჯეროვნად დააფასა ფრონტისა და ზურგის ვეტერანები, რომლებიც ახლაც ცოცხალი არიან. სოციალისტური სამშობლოს მამაცი დამცველები.

მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას დიდი სამამულო ომის, ბევრი მონაწილის დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლებში. აგრეთვე ბრძანებულებებს ომის შესახებ, რომ „გმირი ქალაქის“ წოდება მიენიჭა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს. „გმირი ციხე-სიმაგრის“ წოდება — ბრესტის ციხე-სიმაგრეს, რომ მედლები „ოქროს ვარსკვლავი“ გადაეცა გმირ ქალაქებს ლენინგრადსა და კიევს, ლენინის ორდენი და მედლები „ოქროს ვარსკვლავი“ გადაეცათ ვოლგოგრადს, სევასტოპოლსა და ოდესას.

დიახ, ჩვენს ხალხს არ დავიწყებია და არასოდეს არ დაავიწყდება ომის მრისხანე ამბები, მისი გმირების ნათელი სახელები და სახეები! ისინი უკვდავყოფილი არიან არა მარტო ბრინჯაოსა და გრანიტის ძეგლებით, არამედ თაობათა ცოცხალ გულშიც. და დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს, ყველას, ვინც ოვითონ განიცადა ომი და ვისაც მუდამ ახსოვს იგი, ყველას, ვინც იცის, თუ რა ძვირად დაგვიჯდა გამარჯვება, ღრმად აქვს შეგნებული, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ სისხლისმსვრელი ბრძოლის გმირთა საუკეთესო ძეგლი იქნება მტკიცე მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა, მთელი მშრომელი კაცობრიობის თავისუფლება და ბედნიერება.

მშვიდობის მგზნებარე მოწოდებად გაისმა პიტლერიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავის დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვა ყველა ქვეყნის მთავრობის, პარლამენტებისა და ხალხებისადმი.

ჩვენ წარსული ომს ვიგონებთ იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავიაზროთ მისი გაკვეთილები. გამოვიტანოთ დასკვნები აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენი მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. ჩვენ ყოველი ღონეს ვხმარობდით და ვიხმართ, რომ ოავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, რომ სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად უზრუნველვყოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების მშვიდობიანი პირობები ჩვენს ქვეყნებში. დავიცვათ მშვიდობისა და პროგრესის საქმე.

მშვიდობა და აღმშენებლობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის—ეს არის საბჭოთა ხალხის მთელი მოსწრაფებანი და ფიქრები. მან ომის წლების ქარცეცხლში ძლევამოსილად გამოაკარა დიდებით მოსილი ლენინური დროშა, სოციალიზმის დროშა. ამ დიადი დროშით ჩაენი ხალხი, რომლის ხელმძღვანელი და შთამაგონებელია კომუნისტური პარტია, თავდადებით შრომობდა და შრომობს ომისშემდგომ წლებში, ავითარებს საბჭოთა ქვეყნის მატერიალურ და სულიერ ძალებს.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით ვხედავთ, თუ რა წინ წავიდა ჩვენი სამშობლო ომის შემდეგ განვლილ ოც წელიწადში. კიდევ უფრო განმტკიცდა და კიდევ უფრო განვითარდა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება; განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა, სსრ კავშირის ძმური ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა ხალხმა მოკლე ვადაში მოიშუშა ჭრილობები, რომლებიც ომმა მიაყენა ჩვენს მეურნეობას, და შექმნა წანამძღვრები, რათა წინსვლა განაგრძოს ისეთი მასშტაბით, რომელიც ბევრად აღემატება ომამდელს.

ბანუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერება. სამრეწველო წარმოება შვიდჯერ და მეტად გადიდდა ომამდელთან შეფარებით. ხალხის დიდებაა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შესანიშნავი მიღწევები. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც წარმატებით წყვიტს ყველაზე რთულ პრობლემებს, მოწინავე პოზიციები დაიკავა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბევრ უმნიშვნელოვანეს დარგში, უზრუნველყო საბჭოთა კავშირის პირველობა კოსმოსის ათვისებაში.

ყველაფერი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, რაც ხალხის შრომითა და გონებით შეიქმნა ომისშემდგომ წლებში, საუალებას გვაძლევს ახალ საფეხველზე განვახორციელოთ სოციალისტური წარმოების მთავარი ამოცანა — გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენში ომამდელთან შედარებით ოთხჯერ და უფრო მეტად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. დიდი სახსრები ხმარდება ხელფასის მომატებას, უფასოდ სწავლებასა და პენსიით უზრუნველყოფას. საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას. ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ აშენებულა იმდენი საცხოვრებელი სახლი, რამდენიც ახლა შენდება.

ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი აღდგენის, შემდგომი განვითარების მთელი მრავალმხრივი პროცესი რთულ ამოცანებს უსახავდა და უსახავს პარტიასა და საბჭოთა ხალხს. კომუნისტური მშენებლობის დროს ყოველმხრივ შემოწმდა პარტიის პოლიტიკური კურსი, მისი უნარი თავის დროზე წამოაყენოს სწორი პოლიტიკური ლოზუნგები, თეორიულად განაზოგადოს მასების გამოცდილება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმებმა გადაჭრით დადგეს სუბიექტივიზმი პოლიტიკასა და მეურნეობის ხელმძღვანელობაში, ყოყოჩობისა და ტრაბახის გამოვლინებანი. პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს XX და XXII ყრილობების გადწყვეტილებებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებულ გენერალურ ხაზს. ეკონომიკის განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ხალხს ძალებს წარმართავენ მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური პარტიის გარშემო, რომლის გამობრძმედილობა და შორსმჭვრეტელობა, პრინციპულობა და უდიდესი გამოცდილება, ხალხის ძირეული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკური კურსი უზრუნველყოფენ ჩვენს წარმატებითს წინსვლას. ახლა, როცა პარტია იგებება თავის მორიგ XXIII ყრილობას, სულ უფრო იზრდება მისი ავტორიტეტი მასებში, მაღლდება მისი ხელმძღვანელი როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

საბჭოთა ადამიანებს უსაზღვროდ სჯერათ თავიანთი პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობითაც მოიპოვეს დიადი გამარჯვება ოცი წლის წინათ და ახლა სულ ახალ და ახალ მიჯნებს აღწევენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა იციან, რომ პარტია ყველაფერს აკეთებს მათი კეთილდღეობისათვის, სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ მშვიდობას და არა გვსურს იარაღი იაღლარუნოთ. მაგრამ ჩვენს მშვიდობისმოყვარეობას საერთო არა აქვს რა უცბიელო პაციფიზმთან. გამარჯვების დღეს გამართულმა სამხედრო პარადებმა დამაჯერებლად ა�iჩვენა, რომ მუდამ ფხიზლად არიან საბჭოთა შეიარაღებული ძალები. აღმურვილნი ყველაფრით, რაც საჭიროა ყოველი აგრესორის განსადგურებლად.

საბჭოთა ხალხი აღსავსეა დიდი შემოქმედებითი ენერგიით, მას აღფრთოვანებს შთამაგონებელი შემოქმედებითი ფიქრები, ნათელი კომუნისტური იდეალები. ჩვენ რწმენით შეიყურებიმ მომავალს. ხვალინდელ დღეს. შეიარაღული ვაქვს, რომ მშვიდობის, აღმშენებლობის, სოციალური პროგრესის ძალები გაძლიერდებიან ყველაზე მეტად მსოფლიოში, როგორც გაიმარჯვეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ოცი წლის წინათ. მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის!

PRAVDA

11 მაისის მოწინავე

გულითადობის ვითარებაში

10 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ან. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან. ვ. შტოფი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ან. ე. ხონეკერი, რომლებიც შედგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში და მოსკოვს ჩამოვიდნენ ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავის დღესასწაულზე.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ან. ი. ვ. ანდროპოვმა.

* * *

10 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ან. ან. ლ. დემიჩევს ჰქონდა მეგობრული შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ან. ვ. შტოფთან და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ან. ე. ხონეკერთან, რომლებიც შედან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში და მოსკოვს ჩამოვიდნენ ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავის დღესასწაულზე.

პრალიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

მოსკოვი. 11 მაისი. (საკდესი). გუშინ პრაღიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით დელეგაცია მონაწილეობდა ზეიმში, რომელიც გაიმართა ფაშისტი დამპყრობლებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო.

ვახუკოფის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი და სხვები.

გულგარელი სტუმრები ვოლგოგრადს გაფრინდნენ

მინსკი, 11 მაისი. (საკდესი). დღეს მინსკიდან ვოლგოგრადს გაფრინდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი და მისი თანმხლები პირები, რომლებიც სტუმრად იყვნენ საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქში.

სამშობლოში გაემგზავრა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია

11 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაფრინდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს წევრი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰუარი ბუმედიენი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ჰუარი ბუმედიენი და მისი თანმხლები პირები მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. ჰ. ბუმედიენმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ცენტრალური მდივნის, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის აჰმედ ბენ ბელას წერილი.

ჰუარი ბუმედიენი აგრეთვე შეხვდა და მეგობრულად ესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კ. ტ. მაზუროვსა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის.

მოსკოვში მომძე ალჟირელი ხალხის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისის დღესასწაულში და დაესწრნენ წითელ მოედანზე სამხედრო პარადს, რომელიც გაიმართა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის დღის აღსანიშნავად. სტუმრები გაეცნენ აგრეთვე დედაქალაქის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს, კერძოდ, ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, ი. ა. ლენინის სახელობის საავტომობილო ქარხანას, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯავშასატანკო ძალების სამხედრო აკადემიასა და სხვა დაწესებულებებს.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაცია, გარდა მოსკოვისა, იყო ვოლგოგრადში და კვირგვინით შეამკო ქალაქის დაცვის დროს დაღუპული გმირების პატივსაცემად აღმართული ობელისკი, რომელიც დაღუპულ გმირთა მოედანზეა. დელეგაციის წევრები ეწვივნენ ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანას, დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის სახელობის ვოლგის ჰიდროელექტროსადგური.

როგორც სსრ კავშირის ხელმძღვანელები, ისევე მთელი საბჭოთა მშრომელები გმირი ალჟირის წარმომადგენლებს ყველგან გულთბადად ხვდებოდნენ, რაც მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ადამიანები ძმური მეგობრობის გრძნობითა და სიმპათიით ეკიდებიან ალჟირელ ხალხს, რომელიც სოციალისტური განვითარების გზას ადგას.

ალჟირელმა სტუმრებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის გამო.

გმირი ჩეკისტები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტებზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა ხუთ ჩეკისტს:

რიგით მებრძოლს ნიკოლოზ ივანეს-ძე ბორიპაჩევს, ლეიტენანტ თეოდორე ვასილის-ძე მორინს, პოლიტბელის მოადგილეს ვასილ ვასილის-ძე პეტროვს, პოდპოლკოვნიკ გერასიმე არქიპოს-ძე რუბაცოვსა და კაპიტან ივანე მიხეილის-ძე სერეჟას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან სახელმწიფო უშიშროების ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, სერჟანტები და რიგითი მებრძოლები — სულ 1.632 კაცი. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ოთხი ჩეკისტი, რომლებიც სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ მტრის ზურგში, წითელი დროშის ორდენით — 18 კაცი. I ხარისხის სამამულო ომის ორდენით — 125 კაცი, II ხარისხის სამამულო ომის ორდენით — 279 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 397 კაცი, III ხარისხის დიდების ორდენით — 13 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“ — 295 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 501 კაცი. (საკდესი).

მეჯი ჩაი სამშობლოს

ფყალტუბოელ მეჩაიეთა გადაწყვეტილება

ამ დღეებში დიდი შრომითი აღმაფლობაა ფყალტუბოს რაიონის მინდვრებსა და პლანტაციებში. მეჩაიეები ამისათვის იბრძვიან, რომ წელს მეტი წარმატება მოიპოვონ, ვიდრე შარშან. გასულ წელს რაიონში სულ მოკრიფეს 4.110 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.623 ტონისა.

ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ცხეოეტის, გუმბრის, სორმონის მეჩაიეებმა. ცხეოეტელებმა წლიური დავალება 128 პროცენტით შეასრულეს და მრეწველობას მთელი მოკრეფილი ფოთლიდან 80 პროცენტი პირველი ხარისხის „მწვანე ოქრო“ ჩააბარეს.

შარშან გუმბრის კოლმეურნეობის მეჩაიემ ოლია უშვერიძემ მოკრიფა 10 ტონაზე მეტი, წელს უფრო მეტს გვპირდება. გადდებული ვალდებულებები აკისრეს სოფელ რიონის კოლმეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ანეტა ხურციძემ, ქალაქ შორეულმა ქსენია კუხალეიშვილმა, ცხეოეტელმა შურა ჯიმშელეიშვილმა და სხვებმა.

წყალტუბოელი მეჩაიეები, ჩაის მრეწველობის მუშაკები ძხოურვალედ გამოეხმაურნენ მახარაძელთა თაოსნობას და გადწყვიტეს ორ თვეში შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფისა და პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის 60 პროცენტი. წელს ქვეყანას მისცემენ 4.300 ტონა ხარისხოვან ნედლეულს ნაცვლად 3.960 ტონისა. ამასთან მრეწველობას მისცემენ მაღალხარისხოვან ნედლეულს, გადამუშავებული პროდუქციიც საუკეთესო იქნება.

ო. აბესაძე — საქართველოს კპ წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი; **გ. ჟუთათელაძე** — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **მ. ლოლობერიძე** — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

მაღალვარე დღეები იწყება მეჩაიეების ცხოვრებაში. რესპუბლიკის მრავალ კოლმეურნეობაში უკვე შეუდგნენ ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას. კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი „საქართველოც“ აგუგუნდება პლანტაციებში. ამისათვის შეკეთდა პლანტაციაში მისასვლელი გზები და ხიდები, გაიწმინდა რიგთაშორისები, მომზადდა ჩაის ბუჩქები მექანიზებული კრეფისათვის. სხვანა წარმოებდა ისე, რომ მიეღოთ შპალერის სწორი ზედაპირი, რადგან ძირითადად სწორად გასხვლაზეა დამოკიდებული შემდგომში ჩაის საკრეფი მანქანის ნაყოფიერი მუშაობა.

სურათზე: ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის კოლმეურნეობის ინჟინერი ხ. ცინცაძე (მარჯვნივ), მექანიზატორები რ. პატარაია და ჯ. კუკულაძე ამზადებენ ჩაის საკრეფ მანქანას „საქართველოს“ პლანტაციებში გასასვლელად.

ფოტო ხ. კილაძისა.

მიფრინავს „ლუნა-5“

საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1965 წლის 9 მაისს საბჭოთა კავშირში გაშვებული კოსმოსური რაკეტა მთვარისაკენ.

კოსმოსურ რაკეტაზე დადგმულია ავტომატური სადგური „ლუნა-5“, რომელიც 1476 კილოგრამს იწონის. იგი აღჭურვილია გასაზომი აპარატურით მეცნიერული კვლევის წარმოებისათვის.

გაშვება განხორციელდა მრავალსაფეხურიანი რაკეტის საშუალებით. რაკეტის უკანასკნელი საფეხური წინასწარ გაიყვანეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედურ ორბიტაზე, შემდეგ კი მოცემული პროგრამით მან გაიყვანა ავტომატური სადგური მთვარისაკენ მოძრაობის ტრაექტორიაზე.

ტელემეტრიული, გასაზომი და მეცნიერული აპარატურის ჩართვა ხორციელდება ავტომატურად. ფრენის პროგრამის შესაბამისად. აგრეთვე დედამიწიდან მიღებული რადიოკომანდებით.

ავტომატური სადგურის „ლუნა-5“ დაკვირვება. მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრა, დედამიწაზე მეცნიერული ინფორმაციის მიღება ხორციელდება სპეციალური გასაზომი კომპლექსით. ავტომატური სადგურის „ლუნა-5“ მოძრაობა წარმოებს ტრაექტორიით, რომელიც გაანგარიშებულს უახლოვდება.

1965 წლის 9 მაისს 22 საათზე მოსკოვის დროით სადგური „ლუნა-5“ იყო დედამიწიდან 110 ათას კილომეტრ მანძილზე დედამიწის ზედაპირის იმ პუნქტის თავზე, რომლის კოორდინატებია: ალმოსავლეთის გრძედის 41 გრადუსი და 10 წუთი და ჩრდილოეთის განედის 13 გრადუსი და 34 წუთი. ავტომატურ სადგურზე „ლუნა-5“ დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ესტაფეტა „ლუნა-5“-ის

ამავითარია და გმირობისათვის, რაც გამოიჩინეს 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 10 მაისის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა 8.140 პარტიზანი და რუსეთის სფსრ მხარეებში, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში მოქმედი იატაკქვეშეთის მონაწილენი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 39 კაცი, წითელი დროშის ორდენით — 67, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 483, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით — 634, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 318, დიდების III ხარისხის ორდენით — 73, მედლით „მამაცობისათვის“ — 2.688 და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 3.838 კაცი.

დაჯილდოებულთა შორის 1.637 სახალხო შურისმგებელი ებრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს რუსეთის სფსრ მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, 2.902 — უკრაინაში, 3.269 — ბელორუსიაში, 162 — ლიტვაში, 73 — მოლდავეთში, 91 — ლატვიაში და 6 — ესტონეთში.

ბრძანებულებანი პარტიზანებისა და იატაკქვეშეთის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ დაბეჭდილია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და ადგილობრივ პრესაში.

გეგმა შესრულებულია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 10 მაისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად 2.400 ტონისა, მიყიდულია 2.410 ტონა.

დაფნის ფოთლის მიყიდვა გრძელდება. (საკდესი).

შეიქმნა „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება

ფრანგი ხალხი დიდი და ენერგიული ხალხია. ჩვენ ძველთაგანვე ვიყავით დაკავშირებული მის კულტურასთან. ახლაც ვვიხდა განვაგრძოთ საფრანგეთის, როგორც ძველი, ისე თანამედროვე კულტურის შესწავლა. ეს სიტყვები წითელ ზოლად გასდევდა დამფუძნებელ კრებაზე გამოსული ორატორების სიტყვებს. ეს კრება 11 მაისს გაიმართა თბილისში. ორატორებმა მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფის, სამრეწველო საწარმოებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენელთა წინადადებას, რომ შეიქმნას „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების „საქართველოს“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

კრება გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. გიგაშვილმა. საქართველოს მშრომელები, თქვა მან, ძმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობა. მათთვის გასაგებია, რომ მზარი კულტურული გაცვლა, კეთილი ნების ადამიანთა პირადი კონტაქტების გაფართოება მშვიდობის საქმეს ემსახურება.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ხომიზურაშვილი, პროფესორი ვ. ბერიძე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ს. ხერნიაშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ლ. გუდიაშვილი, მწერალი და მთარგმნელი ა. ჯუმბაძე, მათ აღნიშნეს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, ურთიერთდმობა და შეკავშირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ურთიერთპატივისცემა, კულტურის, საზოგადოებრივი წყობილების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ღრმა გაგება.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება შეიქმნას „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება. საზოგადოების გამგეობის წევრებად არჩეულია 61 კაცი.

კრებაზე წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშა, რომელიც პარიზიდან გამოუგზავნეს „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა ჟენერალმა პეტრემ და საზოგადოების პრეზიდენტმა ა. ბლიუმელმა.

იმავე დღეს გაიმართა საზოგადოების ახალი განყოფილების გამგეობის პირველი სხდომა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, პასუხისმგებელ მდივნად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბაქრაძე. (სა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი

ნახევარფაბრიკატები — რესპუბლიკის ქალაქებს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის მითითებანი ნახევარფაბრიკატების წარმოების შემდგომი გადიდებისა და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული შუშაობა გაწეული ნახევარფაბრიკატების წარმოების გაფართოებისა და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საზოგადოებრივი კვების ქსელში ხორცის საერთო ხარჯში ხორცის ნახევარფაბრიკატების წილი 1964 წელს 1963 წელთან შედარებით 5,1 პროცენტით გადიდდა და 56,1 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცისგადამუშავებელმა საწარმოებმა 1964 წელს ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოება გაადიდეს 775 ტონით, ე. ი. 148 პროცენტით. საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის საწარმოებში თევზის ნახევარფაბრიკატების გამომუშავება გადიდდა 48,4 ტონით, ე. ი. 63 პროცენტით.

ნახევარფაბრიკატების გამოყენებით მუშაობაზე გადაყვანილია 1611 სასადილო ანუ საზოგადოებრივი კვების ქსელში მათი საერთო რაოდენობის 61 პროცენტი. საოჯახო სამზარეულოებისა და ნახევარფაბრიკატებთან და კულინარიული ნაწარმით მოვაჭრე მაღაზიების რაოდენობა 1965 წლის დამდეგისათვის აყვანილია 78-მდე.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს მაინც მთლიანად არ გამოუყენებიათ ყველა შესაძლებლობა.

თბილისში სულ 12 საოჯახო სამზარეულო და ნახევარფაბრიკატებით მოვაჭრე 17 მაღაზიაა, რუსთავში — ორი სამზარეულო და ხუთი მაღაზია, სოხუმში — ერთი სამზარეულო და ოთხი მაღაზია, ბათუმში — ორი სამზარეულო და ხუთი მაღაზია. დამახასიათებელია, რომ ყველა ისინი ძირითადად განლაგებულია ქალაქის ცენტრში, ხოლო გარეუბნებისა და ახალი საცხოვრებელი მასივების მოსახლეობა მოუშსახურებელი რჩება.

თბილისში კულინარიული ნაწარმის მაღაზიებში ხორცის ნახევარფაბრიკატების რეალიზაცია 1963 წელთან შედარებით 151 ტონით შემცირდა და ქალაქის მოსახლეობისათვის ხორცის საერთო წლიური ხარჯის 3,2 პროცენტი შეადგინა.

თბილისის სასადილოების მარცხენა ნაპირის ტრესტის სანამზადო ფაბრიკამ კულინარიული ნაწარმის გამოშვების გეგმა 1964 წელს 77,3 პროცენტით შეასრულა. რუსთავში კი საზოგადოებრივი კვების მაღაზიებში ხორცის ნახევარფაბრიკატები რეალიზებული იქნა სულ ორი ტონა. აქ 1965 წლის 13-დან 15 თებერვლამდე ნახევარფაბრიკატებით მოვაჭრე ხუთი მაღაზიიდან მუშაობდა მხოლოდ ერთი, 1965 წლის იანვარში ორი ოჯახო სამზარეულოდან ერთი დახურული იყო, ხოლო მეორე, რომელიც № 22 დიეტურ სასადილოსთან არსებობს, მხოლოდ რძისა და ბრინჯის სუპითა და ჩაით ვაჭრობდა.

ბათუმში 1964 წლის 16 ივნისიდან 15 სექტემბრამდე სავაჭრო ქსელისათვის საერთოდ არავითარი ნახევარფაბრიკატები არ მიუწვდით, გარდა მცირეოდენი ოდილავაძე) მომხმარებლებს დააკლო ფარშისა, ხოლო 1964 წლის 26 დეკემბრიდან 1965 წლის 20 იანვრამდე კულინარიული ნაწარმი არ მიუწვდით № 1, 5, 18, 34, 35 და 59 მაღაზიებისათვის.

სოხუმის № 30 სასადილოსთან არსებულ საოჯახო სამზარეულოში კერძების შეზღუდული ასორტიმენტის გამო 1964 წელს სადილების შინ გაცემის გეგმა მხოლოდ 58 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთ ხორცკომბინატში და ვაჭრობის სამინისტროს საწარმოო ობიექტებში მოწყობილი არ არის წვრილად დაჭრილი ხორცის ნახევარფაბრიკატების დაფასოებული სახით გამოშვება საცალო ვაჭრობისათვის. ამიტომ მაღაზიებში არ იშოვნება ისეთი ნახევარფაბრიკატები, როგორიც არის ბეფსტროგანოვი, რაგუ, მწვადი, ხარჩო და ბევრი სხვა.

დღემდე საკმაო მოცულობით არ არის მოწყობილი აგრეთვე თევზის ნახევარფაბრიკატების გამოშვება. ამის გამო საზოგადოებრივი კვების ქსელი და მაღაზიები დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან ამ ნახევარფაბრიკატებთან. თბილისში 1964 წელს მაღაზიების მეშვეობით რეალიზებულ იქნა 16 ტონა თევზის ნახევარფაბრიკატები, რუსთავში კი მხოლოდ ექვსი ტონა. საცალო ვაჭრობის არც ერთი მაღაზია არ მარაგდება გაფაქვნილი კარტოფილით.

არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი წვრილად დაჭრილი ხორცის ნახევარფაბრიკატების გამოშვება და საზოგადოებრივი კვების ქსელის მომარაგება ქალაქებში თბილისში, რუსთავსა და ბათუმში. ნაცვლად იმისა, რომ ფართო ასორტიმენტით გამოუშვან ცალკეულ სახეობათა კერძები: სხვადასხვა ფარში, ხარჩო, ლანგეტი, დაბეგვილი ხორცი, — საწარმოები საზოგადოებრივი კვების ქსელს ძირითადად ამარაგებენ მსხვილად დაჭრილი ხორცის ნახევარფაბრიკატებით, რომელთა წილმა ხორცის ნახევარფაბრიკატების საერთო ხარჯში 1964 წელს თბილისში 60 პროცენტი შეადგინა, რუსთავში — 50 პროცენტი, ბათუმში — 95 პროცენტი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ ვერ უზრუნველყვეს სავაჭრო ქსელის შეუფერხებლად მომარაგება ხორცის ნახევარფაბრიკატებით და 1963 წელს საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოს გადაყვანა ნახევარფაბრიკატების გამოყენებით მუშაობაზე. თბილისის, რუსთავის, სოხუმისა და ბათუმის საზოგადოებრივი კვების არსებული 1.007 საწარმოდან ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე გადაყვანილია სულ 852, მათ შორის კომპლექსური მომარაგებით — მხოლოდ 211. არ შესრულებულა აგრეთვე დავალება, რომ 1964 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცათ ბათუმის ორი ტონა ნახევარფაბრიკატების სიმძლავრის სანამზადო ფაბრიკა.

თბილისის, ბათუმისა და სხვა ხორცკომბინატები უზრუნველყოფილი არ არიან მოწყობილობით: ხორცის სადეფროსტაციო (ალლობი) სამაცივრო კამერებით, ძვლის სახერხავებით, დასაფასოებელი მანქანებით და ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირებისათვის საჭირო სპეციალური ტარით, რის გამო ნახევარფაბრიკატებს საზოგადოებრივი კვების ქსელს ღია ტაშტებით აწვდიან.

ნახევარფაბრიკატების წარმოებისას რეცეპტურის დარღვევის გამო თბილისის ხორცკომბინატმა (დირექტორი ი. ოდილავაძე) მომხმარებლებს დააკლო 3,5 ათასი მანეთის უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, თბილისის მაცივარმა (დირექტორი კ. ბეჭვაია) — 7,3 ათასი მანეთისა, თბილისის მარცხენა ნაპირის სასადილოთა ტრესტის სანამზადო ფაბრიკამ (უოფილი დირექტორი ო. ოშანიძე) — 90 ათასი მანეთისა და ბათუმის ხორცკომბინატმა (დირექტორი ი. ტოროტაძე) — 4,9 ათასი მანეთისა.

რესტორან „საქართველოში“ (დირექტორი ა. თვარაძე) მაღაზიების მეშვეობით ნახევარფაბრიკატების გასაუდად ცომს ამზადებდნენ პირველი ხარისხის ფქვილისაგან ნაცვლად უმაღლესი ხარისხისა. ამის შედეგად მომხმარებლებს ზედმეტად გადაახდევინეს 1,5 ათასი მანეთი. ბათუმის სასადილოთა ტრესტის № 127 საოჯახო სამზარეულოში კატლეტები ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 20 პროცენტისა შეიცავდა 48,8 პროცენტ პურს.

მომხმარებლების წინაშე ვალშია რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, რომელმაც ვერ უზრუნველყო ნახევარფაბრიკატების გამოშვება საზოგადოებრივი კვების ქსელი და მაღაზიები დამაკმაყოფილებლად ვერ მარაგდებიან ამ ნახევარფაბრიკატებთან. თბილისში 1964 წელს მაღაზიების მეშვეობით რეალიზებულ იქნა 16 ტონა თევზის ნახევარფაბრიკატები, რუსთავში კი მხოლოდ ექვსი ტონა. საცალო ვაჭრობის არც ერთი მაღაზია არ მარაგდება გაფაქვნილი კარტოფილით.

ბარდაბანის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში წელს ბოსტნეული 320 ჰექტარზე უნდა დათესონ. დღეისათვის 200 ჰექტარზე მეტი უკვე დათესილია. პამიდორს დარგავენ 80 ჰექტარზე. თესვის პარალელურად მიმდინარეობს ბოსტნეულის კულტივაცია.

სურათზე: კომბოსტოს კულტივაცია. წინა პლანზე მეურნეობის მებოსტნეობის ხელმძღვანელი კ. ჯანაშია და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ჯ. ჯაფაროვი ამოწმებენ კულტივაციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნახევარფაბრიკატები — რესპუბლიკის ქალაქებს

ეკონომიურია, ჯარგია...

ფართოდ გამოვიყენოთ რძის შემცვლელი ხბოს საკვებად

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ-ᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛᲘ!

ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲢᲠᲝ ᲥᲝ ᲜᲚᲘᲡᲐᲐ

ᲐᲠᲘᲗᲛᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲧᲐᲕᲚᲘ ᲒᲐᲣᲕᲘᲓᲐ

საერთაშორისო ცხოვრება

მ. შოლოხოვი გუდაკეშტში

გუდაკეშტი, 11 მაისი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევითი გუდაკეშტში ჩამოვიდა საბჭოთა მწერალი მიხეილ შოლოხოვი.

როგორც უნგრეთის დეკეშათა სააგენტო იუწყება, მ. ა. შოლოხოვი მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა.

საფრანგეთის სტუმრები

პარიზი, 11 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი იუწყება:

ძალხით გაჭედილი იყო დღეს ალიოხის პლეიელის დარბაზი, სადაც „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელებმა გამართეს მიტინგი საბჭოთა კოსმოთავგადასავლების გ. ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და ა. ბიკოვსკის ჰაეროსანაცემად, რომლებიც დღეს ჩამოვიდნენ საფრანგეთში.

მიტინგის პრეზიდიუმში, ალიან საბჭოთა კოსმონავტები, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ა. ზორინი, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჟ. როშე, ო. ლერუა, ო. გიუიო და საფრანგეთის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელები.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პოეზიდენტი ალეუმელი, რომელმაც ძიტინგი გახსნა, მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხალხურს. საფრანგეთში თქვენი ვიზიტის დროს, თქვა მან, ნახავთ ჩვენს ნაღსს, ხალხს, როგელიც პატივისცემისა და სიყვარულის ღირსია. ჩვენმა ორმა ხალხმა, ხაზი გაუსვა ბლუელმა, უნდა იშრომონ მშვიდობის ინტერესებისათვის.

შემდეგ გამოვიდა ბ-ნი გალაბერი, დამაარსებელი კოსმონავტიკის გალაბერის სახელობის საერთაშორისო პრემიისა, რომელიც გადაეცემა ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას. მან აღნიშნა, ოომ შესანიშნავი კოსმოსური გაფრენების შედეგად „ასტრონავტიკა ადამიანთა ხელში გახდა ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის ძლავრი იარაღი“.

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ გულითადი მადლობა უძღვნა პარიზელებს მხურვალე შეხვედრისათვის. ჩვენი ჩამოსვლა საფრანგეთში, თქვა მან, დაემთხვა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს. ჩვენი ხალხების მეგობრობა განმტკიცებულია სისხლით, რომელიც მამებმა და უფროსმა ძმებმა დაღვარეს. ეს გვავალებს სულ უფრო განვამტკიცოთ ჩვეხი კავშირურთიერთობა. საბჭოთა ხალხისა და ფრანგი ხალხის მეგობრობა გრანიტზე უფრო მაგარი უნდა იყოს.

დიადი გმირობა

საზღვარგარეთის პრესა ფართოდ აშუქებს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავს.

ბულგარეთი. დიდი სათაურებით „საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა საუკუნეებში იცოცხლებს“, „სოციალიზმის საქმე უძლეველია“ ბულგარეთის დედაქალაქის გაზეთებმა გამოაქვეყნეს შინაარსი ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე. პრესა ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი დიადი განმათავისუფლებელი მისია და ყველა ხალხის მადლობა დიმსახურეს.

ჩეხოსლოვაკია. ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთები იუწყებიან, რომ სსრ კავშირში გაიმართა გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. „რუდე პრავოს“ დაწვრილებით მოამყავს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების საერთაშორისო ნაწილის შინაარსი და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირი კვლავაც ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად უზრუნველყოფენ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მშვიდობიან პირობებს, დაიცავენ მშვიდობასა და პროგრესს.

უნგრეთი. უნგრეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გაიმართა საზეიმო კრება მოსკოვში, ზეიმი ბერლინსა და პარიზში, ბეჭდავენ ცნობებს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავის დღესასწაულის შესახებ.

ყველა გაზეთს მოაქვს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შინაარსი. ცენტრალური გაზეთები მოწინავე სტატიებს უძღვნიან სახელოვან იუბილეს.

ეს იყო გამარჯვების დღე უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ადამიანებისათვის, წერს მოწინავე სტატიაში „ნეპსაბადშაგი“, მათ გადაიტანეს ომის უმაგალითო სიმძიმე.

მშვიდობის მთავარმა გუშაგმა — საბჭოთა კავშირმა, რომელმაც დიდი მატერიალური და ადამიანის მსხვერპლი გაიღო, სწრაფად მოიშუშა ომის ჭრილობები და ეკონომიური, საზოგადოებრივი და სამხედრო თვალსაზრისით კიდევ უფრო მძლავრი სახელმწიფო გახდა, ხაზს უსვამს გაზეთი „ნეპსავა“.

რუმინეთი. დიდი სათაურებით „სკინტეიამ“ და სხვა რუმინულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოხსენების შინაარსი. „სკინტეია“ ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მშვიდობიანი პირობები სოციალისტურ ქვეყნებში, დაიცვას მშვიდობისა და პროგრესის საქმე.

ფინეთი. ფინეთის რადიო, ტელევიზია და გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ საზეიმო კრებას, რომელიც კრემლში გაიმართა და მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავს. კრების ანგარიშებში ხაზს უსვამენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ძირითად დებულებებს და, კერძოდ, მის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას აგრესიისაგან დაცვის საქმეში. სათაურებში ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული ხასიათი, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და პროგრესის დაცვა. (საკდესი).

ამნისტია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ 9 მაისის ეროვნული დღესასწაულთან დაკავშირებით გამოაცხადა საყოველთაო ამნისტია. ამნისტია ვრცელდება, კერძოდ, იმ პირებზე, რომლებმაც პოლიტიკური დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ სასჯელისაგან არ ათავისუფლებს იმათ, ვინც მსჯავრდადებულია ჰიტლერელებთან თანამშრომლობისათვის, სამხედრო დანაშაულისა და ეკონომიური ხასიათის სერიოზული სამართალდარღვევისათვის.

ამნისტიის შესაბამისად, არ დაისჯებიან ის პირნი, რომელებმაც უკანონოდ დატოვეს ჩეხოსლოვაკია და სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში არა უგვიანეს 1965 წლის დამლევისა. პრაქტიკულად სასჯელისაგან განთავისუფლდება ყველა პირი, რომელებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით დანაშაულისათვის, რომელზეც ვრცელდება ამნისტია.

რაულ ლეონის განცხადება

ჰავანა, 11 მაისი. (საკდესი). ვენესუელის პრეზიდენტმა რაულ ლეონმა აქ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ჩილის წინადადებას დეკოლონიზაციის გაიყვანოს ამერიკამ ჯარები დომინიკოს რესპუბლიკიდან.

თავდასხმები გრძელდება

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის თვითმფრინავები გუშინ საღამოს და დღეს რამდენჯერმე დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, მათ დაბომბეს ხიდები და გადასასვლელები ხა ტინის პროვინციაში, 150 მილზე ჰანოის სამხრეთით.

ჰანოი, 10 მაისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერტორიაზე ამერიკის ავიაციის გუშინდელი თავდასხმის დროს ჩამოაგდეს ამერიკის 5 თვითმფრინავი.

პატრიოტები უტევენ

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკდესი). დღეს დილით სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა დიდმა რაზმმა ხელთ იგდო ქალაქი სონგ-ბე, 70 მილზე საიგონის ჩრდილოეთით. საიგონის ხელისუფალთა ცდები საპაერო დესანტი გადაესხათ თავიანთი ჯარების მისაშველებლად, მოიგერიეს პარტიზანებმა მძლავრი ცეცხლით.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, დამსჯელთა ჯარებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. დაზიანდა და დაჭრილთა შორის იყო 16 ამერიკელი „მრჩეველი“. ჩამოგდებულია ამერიკის ერთი ბომბდამშენი.

ნიუ-იორკი, ბრიგადის გენერალი ვესინ-ი-ვესინი იძულებული გახდა გადადგარიყო. ამას იუწყებიან სანტო-დომინგოდან

მდგომარეობა დაძაბულია

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები. ვესინ-ი-ვესინი მეთაურობდა სამხედრო ხუნტის ჯარებს, რომლებიც ცდილობენ ამერიკის ხიშტების საშუალებით ხელი შეუშალონ კონსტიტუციური წყობილების აღდგენას დომინგოს რესპუბლიკაში.

შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ყველაზე რეაქციულ ძალებს დომინგოს რესპუბლიკაში, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს თავიდან მოიშორონ ვესინ-ი-ვესინი როგორც ყველაზე ოდიოზური ფიგურა, რომელმაც უკვე შეასრულა თავისი როლი. სწორედ ამ გენერლის ბრძანებით დაიწყო დომინგოს დედაქალაქის დაბომბვა, რის შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა. ეს იყო რეაქციული ძალების ცდა შეენარჩუნებინა რესპუბლიკაში პროამერიკული რეჟიმი. [illegible] ჩაიფუშა, დომინგოს რესპუბლიკაში გადახვეს ამერიკელი ჯარისკაცები.

დომინგოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა პოლკოვნიკმა კამანიომ მოითხოვა, რომ ვესინ-ი-ვესინმა დატოვოს ამ ქვეყნის საზღვრები. მაგრამ გენერალმა უარი თქვა ამაზე.

ა. გრომიკო გუდაკეშტში

გუდაკეშტი, 11 მაისი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იანოშ პეტერის მოწვევით დღეს ბუდაპეშტში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

კომუნისტების გამარჯვება

რომი, 11 მაისი. (საკდესი). დიდი გამარჯვება მოიპოვეს კომუნისტებმა ქალაქ რიმინიში (რომანიის ოლქი) გამართულ მუნიციპალურ არჩევნებში. იტალიის კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა მიიღეს 28 ათასი ხმა (საერთო რიცხვის 44,1 პროცენტი) და 40 ადგილიდან 19 ადგილი მუნიციპალურ საბჭოში (1961 წლის არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 20.808 ხმა (39 პროცენტი) და 16 ადგილი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 11 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გადასცა ნოტა, რომელშიც საელჩოს ატაშე ნ. გარნეტი გამოაცხადა პერსონა ნონ გრატად იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ შეესაბამება აკრედიტებული დიპლომატიური მუშაკის სტატუსს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა საელჩოს გარნეტის აკრძალული ქცევის გამო, რომელმაც თავისი ყოფნა საბჭოთა კავშირში გამოიყენა სსრ კავშირის მიმართ მტრული მუშაობისათვის აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებში, და მოითხოვა, საკერო ღონისძიებანი განახორციელონ იმისათვის, რომ მომავალში ამერიკის საელჩოს თანამშრომლები ალარ ეწეოდნენ ასეთ საქმიანობას.

ოფიცრების შეთქმულება

ლონდონი, 11 მაისი. (საკდესი). სამხრეთ კორეის არმიის შტაბმა გამოაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ჩაახშეს სამხედროების შეთქმულება, რომლის მიზანი იყო პრეზიდენტ პაკ ჯონ ხის დამხობა, დაპატიმრეს 7 კაცი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება სეულიდან, შეთქმულება უნდა განეხორციელებინათ 15 მაისს, როცა პაკ ჯონ ხი გაემგზავრებოდა შეერთებულ შტატებში.

შეთქმულების მონაწილენი არიან მეტწილად არმიის ოფიცრები, რომელთა შორის ექვსი პოლკოვნიკია. მათ ბრალად ედებათ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა. გარდა ხსენებული 7 კაცისა, შინაპატიმრობის წესით დაპატიმრებულია კიდევ 40 კაცი. ეჭვი აქვთ, რომ ისინი მონაწილეობდნენ შეთქმულებაში.



ამერიკის თვითმფრინავები ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გზებსა და ხიდებს, ცეცხლს უშენენ სოფლებს, საავადმყოფოებსა და სამოქალაქო ტრანსპორტს. ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეები, ადგილობრივი თავდაცვის რაზმები და სახალხო მილიციის მებრძოლები ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ აგრესორებს.

• • •

სურათზე: ქალაქ სატინის თავდაცვის რაზმის მებრძოლები მზად არიან სროლა აუტეხონ პაერის მეკობრეებს.

ფოტო მტი-საკდესისა.

ლეგიონის გმირული გზა

ალეპინის ქალაქ ბუენოსაიესში 1942 წლის მარტში შეიქმნა 414-ე ქართული დივიზია. ამ დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა 1367 ქვეთი მსროლელი ლეგიონი, რომელსაც მეთაურობდა სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, წითელი არმიის კადრის ოფიცერი ა. შაელიაშვილი, ხოლო ლეგიონის კომისარი იყო გამოცდილი პოლიტმუშაკი მაიორი ა. ლორია.

ახალგაზრდა ოფიცრებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებით დ. ქამუშაძე, ა. ძიძავა, შ. თოფურიძე, ა. გელოვანი, გ. ღლონტი, ა. ქადაგიძე, ი. ძლიერიშვილი, ვ. ჭიკინაძე, ვ. ზოდელავა, გ. ბარამიძე, მ. როსტომაშვილი, ს. მგელაძე, ა. კვირკველია, ა. კვარაცხელია, მ. კვარაცხელია, ს. დუმბაძე, კ. ტაბიძე, ა. არდია, მ. ჯოყრაკავა და სხვები.

ლეგიონის პირადი შემადგენლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო აღჭურვილი საჭირო საბრძოლო საშუალებებით და სამხედრო ტექნიკით, რომ მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ შესდგომოდა საბრძოლო ლაშქრობას ჩაჩნეთ-დაღესტნის მაღალმთიან ადგილებში. ეს ლაშქრობა მეტად მძიმე და ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. საკმარისი იყო ოდნავი უყურადღებობა, რომ მთელი ტექნიკა და ცოცხალი ძალა უფსკრულში გადაჩეხილიყო და შთაენთქა მთის გაშმაგებულ მდინარეს კოისუს. ოთხი დღე-ღამის შემდეგ ლეგიონი ავიდა სოფ. ბოთლიხში. აქ ლეგიონის ქვეგანაყოფებმა მიიღეს საბრძოლო დავალება — გაენადგურებინათ ჩაჩნეთ-დაღესტნის მთებში მოქმედი ფაშისტთა სადესანტო ჯგუფები.

ამ ოპერაციის დამთავრების შემდეგ ლეგიონი კვლავ შეუდგა მაღალმთიან ადგილებში ლაშქრობას, მეტად მძიმე პირობებში გადალახა შამილის ყოფილი ციხე-სიმაგრე, გაიარა ქ. ხასავ-იურტი, ქ. გუდერმესი, გავიდა ქ. გროზნოს მიდამოებში და დაიკავა საბრძოლო მდგომარეობა. ამ დროისათვის ქ. მალგობეკთან გაფფრენილი ბრძოლები წარმოებდა.

ჰიტლერელები იძულებული გახდნენ მოზდოკის მიმართულებით დაეხიათ და გამაგრებულიყვნენ წინასწარ მომზადებულ ახალ თავდაცვითს პოზიციებზე სოდგურ იშჩორსკაიასთან. ჩვენმა ლეგიონმა შეუერთდა გადალახა მდინარე თერგი, გავიდა ტყით დაფარულ სადგურ იშჩორსკაიას მისაღგომებთან და დაიკავა საიერიშო პოზიციები. აქ ბრძოლები მეტად მძაფრი და მეუპოვარი იყო; ფაშისტები მტკიცედ იყვნენ გამაგრებული, ყველა გაბატონებული მაღლობი მათს ხელში იყო, და იქ ჰქონდათ ძლიერი, მუდმივმოქმედი საცეცხლე წერტილები. გარდა ამისა, თვით დასახლებული პუნქტი იშჩორსკაია მაგარ ციხე-სიმაგრედ ჰქონდათ გადაქცეული. გერმანელები აქ ამარებდნენ დახმარებას, ხშირად გვიტევდნენ და ცდილობდნენ ჩვენი ნაწილები მდ. თერგში გადაეყარათ და გაენადგურებინათ. მათ მძიმე არტილერია და ტანკები გამოდმებით უშენდნენ ცეცხლს ჩვენს განლაგებებს. მტრის ტანკების ერთ-ერთი შემოტეეის დროს ბრძოლაში ჩაება კაპიტან დ. ქამუშაძის ტანკსაწინააღმდეგო ქვეგანაყოფი, რომელმაც ძლიერი ცეცხლით გზა გადაუღობა მტრის ტანკებს, მაგრამ ამ დროს მტრის მძიმე არტილერიის უყმბარა დაეცა იმ საბრძოლო გათვლის ახლოს, სადაც თვით კაპიტანი დ. ქამუშაძე იმყოფებოდა. — საშინელი ფეთქების ხმა, და საბრძოლო გათვლა მეთაურითურთ ცოცხლად დამარხა მიწამ. მდგომარეობა სახიფათო შეიქმნა. მტრის ტანკებს შეეძლოთ თავისუფლად წამოსულიყვნენ წინ. მაგრამ ამ დროს ამაგე განაყოფის ოცმეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა გ. ღლონტმა სწრაფად მიიღო თავის თავზე ქვეგანაყოფის მეთაურობა.

ლეგიონის სანიტრებმა მიწა რომ გადააცალეს და ამოიყვანეს დაჭრილი მეომრები, კაპიტანი დ. ქამუშაძე სრულიად დაფრეულები და დამუნჯებული იყო. ხელებისა და თვალების მოძრაობით მას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ხოლო როდესაც ფაქარი და ქაღალდის ნახევი მიეცეთ, მან დაგვიწერა, რომ თავს კარგად გრძნობდა, არაფერი არ აწუხებდა და გვთხოვდა დაეხმარებოდით, რათა ჰოსპიტალში არ გაეგზავნათ და ნაწილში დაეტოვებინათ. მისი თხოვნა შესრულებულ იქნა. ორი კვირის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელებული კაპიტანი დ. ქამუშაძე ისევ წინა ხაზზე იყო, თავის საკვარელ მებრძოლებთან.

1942 წლის დეკემბერში გერმანელებს ძლიერი თავდაცვითი ხაზი სადგურ იშჩორსკაიასთან გარღვეულ იქნა და მტერი იძულებული გახდა დიდი დანაკარგებით დაეხია ქ. მოზდოკის მიმართულებით. ჩვენი ლეგიონი საბჭოთა ჯარების სხვა ნაწილებთან ერთად კვალდაკვალ მისდევდა მტერს და ანადგურებდა მის ცოცხალ ძალსა და საბრძოლო ტექნიკას. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მტერმა მაინც შეძლო გამაგრებულიყო წინასწარ კარგად მომზადებულ საბრძოლო პოზიციებზე ზოლტორროიოვთან. აქ გაჩაღდა დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლები. ფაშისტები განსაკუთრებული თავგანწირვით იცავდნენ ამ პოზიციებს, მით უფრო იმიტომ, რომ მისი დატოვებით ბოლო ელვნოდა მათს მნიშვნელოვან პლაცდარმს ჩრდილოეთ კავკასიაში.

28-31 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დიდი სარტილერიო მომზადება განახორციელეს. 31 დეკემბერს კი მოიერიშე ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. ჩვენი ლეგიონი ზოლოტოროიოვის აღმოსავლეთის მხრიდან უტევდა. ქართველმა მეომრებმა ეს ბრძოლა დიდი აღმავლობით ჩაატარეს — გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვითი ხაზი, უკან ჩამიტოვეს მათი საახალწლოდ მორთული ტრანშეიები და მიწურები (ბევრგან ფაშისტებს საახალწლოდ მორთული ნაძვისხეები დაედგათ — ალბათ არ გეგონოდეთ), კვალდაკვალ სდიეს მტერს. მრავალი დასახლებული პუნქტი იქნა განთავისუფლებული, მათ შორის ქ. მოზდოკიც.

ეს ამბავი ამ ბრძოლებში ბევრ ქართველ ბიჭს ეცხოვრა. ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდებოდა, მტერი შეტევაზე გადმოდიოდა და ცდილობდა ჩვენი ჯარები ზღვაში გადაეყარა და განეადგურებინა. ყოველი მეტრი მიწისათვის იღვრებოდა ქართველთა სისხლი.

ძლიერი, სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღინიშნა 1944 წლის იანვარი, თებერვალი და მარტი. გერმანელების წინააღმდეგობა ძლიერი და შეუპოვარი იყო. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მტრის წინააღმდეგობა გავტეხეთ და ამავე წლის 11 აპრილს განთავისუფლებულ იქნა ქ. ქერჩი და მრავალი დასახლებული პუნქტი.

ამ სამთვიან ცხარე ბრძოლებში ბევრ მა ქართველმა მეომარმა გასწირა თავი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის. ი ზოგიერთი მათგანი: მ. კვარაცხელია, კ. დარსაძე, ა. კოკბაძე, ი. კანდელაკი, ი. ლომსაძე.

ქერჩიდან უკუქცეულ გერმანელთა ჯარებს ჩვენი ლეგიონის მეომრები კვალდაკვალ მისდევდნენ და ბაადაგზა ალაგებებდნენ. მტერმა მხოლოდ ქ. სევასტოპოლის მისადგომებზე, სპეუნ-გორაზე შეძლო გამაგრება ანა რომ სხვა ძალთა ერმის სხვა ნაწილებთან ერთად სპეუნ-გორის კალთებზე დავიკავეთ სალიერიშო პოზიციები.

1944 წლის 7 მაისს დაიწყო ჰიტლერელთა თავდაცვითი პოზიციების გენერალური საარტილერიო დამუშავება: ბმელეთიდან შორმსროლელი მძიმე არტილერიის, ზღვიდან სამხედრო-საზღვაო ფლოტის და პაერიდან ბომბდამშენი ავიაციის ძლიერი ცეცხლით. ვისაც ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებული ეს ბრძოლები უნახავს, მისთვის ცხადია, თუ რა ძლიერი და მიუვალი მუდმივმოქმედი საცეცხლე პოზიციები ჰქონდათ შექმნილი ჰიტლერელებს სპეუნ-გორაზე. ეს იყო რკინაბეტონის მძლავრი ნაგებობანი, ბუნებრივ პირობებთან კარგად შეხამებული მიუვალი ციხე-სიმაგრეები. ასეთი სიმაგრეებიდან ჰიტლერელთა ამოყრა და განადგურება იოლი საქმე როდი იყო, მაგრამ ჩვენი ჯარების დარტყმა, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მათი შერჩენა და წინააღმდეგობის გაწევა არავითარ ძალას არ შეეძლო.

დაიწყო სატანკო და ქვეითი ჯარების ომრიშები. ჩვენი მეომრები ჩვეული გამბედაობით ძიიწევდნენ წინ. ბრძოლას მწვავე ხასიათი ძიიღო. ჰიტლერელები უსისხლოდ არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. ეს ბუნებრივიც იყო, მათ მეტი გამოსავალი არა ჰქონდათ. უკან ულმობელი ზღვა ელოდათ, ხოლო წინ ჩვენი შეუპოვარი ომრიშები. ხელჩართულ ბრძოლებში ბევრმა გერმანელმა დაკარგა იარაღი და ტყვედ ჩაგვბარდა.

დაღამებისას შეუდგით სევასტოპოლის გარეუბნები. აქ ბრძოლა უფრო გამწვავდა. თვითეული ქუჩისათვის, თვითეული სახლისა და თვითეული ნაგებენებისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ გერმანელები. გათენებისას ქ. სევასტოპოლი მთლიანად გაწმენდილი იყო გერმანელებისაგან, ხოლო უკანასკნელი ბრძოლები წარმოებდა სევასტოპოლის დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც გერმანელთა გადარჩენილი ნაწილები გემებით გაპარვას ცდილობდნენ. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა ამის საშუალება არ მისცეს და აიძულეს დაეყარათ იარაღი.

ამრიგად, 1944 წლის 10 მაისს ყირიმი მთლიანად იქნა განთავისუფლებული ფაშისტ დამპყრობლებისაგან.

ჩვენს **1367-ე მსროლელ ლეგიონს ქ. სევასტოპოლის განთავისუფლებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭა გმირი ქალაქის — სევასტოპოლის სამაბიო სახელი.**

სპეუნ-გორაზე, სადაც წარმოებდა სისხლისმღვრელი ბრძოლები გერმანელთა წინააღმდეგ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის და სადაც დღეს სამარადისოდ განისვენებენ ის ქართველი ვაჟკაცი მეომრები, რომლებმაც გმირულად დასდეს თავი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის, აღმართულია ობელისკი, რომელზეც ეკითხულობთ დიდი ქართველი პოეტის შ. რუსთაველის უკვდავ სიტყვებს: **„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“...**

ასეთია მოკლედ ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის 1367-ე სევასტოპოლის მსროლელ ლეგიონის სახრძოლო გზა, რომელიც მან განვლო დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ა. ხეცურიანი,
თადარიგის მაიორი.

ამერიკის ზეგავლენით

ვაშინგტონი, 11 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედრენკო იუწყება:

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ამერიკის წარმომადგენლის ძალადური ზეგავლენით გუშინ არსებითად განუხილველად მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად განუსაზღვრელი დროით გრძელდება ლათინური ამერიკის ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა სპეციალური კომისიის არსებობა. ეს კომისია 1 მაისს შეიქმნა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნებს საგარეო საქმეთა მინისტრების მე-10 საკონსულტაციო სესიის სხდომაზე, რათა „აღედგინა მშვიდობა და ნორმალური პირობები“ დომინიკოს რესპუბლიკაში.

რეზოლუციის პროექტი შეიტანა კოსტა-რიკის წარმომადგენელმა, მაგრამ მის მიღებაზე გავლენა ახდენენ შეერთებული შტატები. ამერიკის წარმომადგენელი ბანკერი იმ საბაბით, რომ მდგომარეობა დომინიკოს რესპუბლიკაში შეიძლება სწრაფად გაუარესდეს, მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიეღოთ შეტანილი რეზოლუცია. ეკვადორისა და მექსიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კენჭისყრის ჭინ უნდა დაუკავშირდნენ თავიანთ მთავრობებს და მიიღონ მითითებანი, მაგრამ ამერიკის დელეგატი ამაზე ეერ დაიყოლიეს. მან თავისი გაიტანა, რეზოლუციის კენჭი უყარეს და მიიღეს იმ ქვეყნების ხმებით, რომლებიც ავტომატურად უჭერენ მხარს ამერიკის ყველა მოთხოვნას.

მექსიკის წარმომადგენელმა დაგმო რეზოლუციის ასე ნაჩქარევად მიღება და შეიტანა წინადადება, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები დომინიკოს რესპუბლიკიდან. ეს წინადადება უარყვეს. მის წინააღმდეგ ხმა მისცა 15 ქვეყანამ, 5 ქვეყანამ კი მხარი დაუჭირა.

მეგობრულ ატმოსფეროში

ბერლინი, 11 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა საუბარი. დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით. საუბრის დროს ორივე მხარემ გამოთქვა თავისი აზრი მათთვის საინტერესო საკითხებზე. საუბარი მიმდინარეობდა მეგობრულ ატმოსფეროში.

რაკეტების ექსპორტი

ბონი, 11 მაისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, უახლოეს ხანებში ამერიკის **შეერთებული შტატებიდან** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ამერიკის 7-ე არმიის გაძლიერების“ **მიზნით გაიგზავნება კიდევ ერთი ბატალიონი, რომელიც აღჭურვილი იქნება „პერშინგის“ ტიპის რაკეტებით. ამ რაკეტებს, რომელთა მოქმედების რადიუსი 650 კილომეტრზე მეტს შეადგენს, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ჩვეულებრივი, ისევე ატომური მუხტები.**

ამჟამად დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე უკვე ამერიკის არმიის ორი ბატალიონია, რომელიც აღჭურვილია „პერშინგის“ ტიპის რაკეტებით.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა

რომი, 11 მაისი. (საკდესი). ტორინიმი პროფესორმა სოლერიომ გააკეთა სიამის ტყუპების სანტინა და ჯუზეპინა ფოლიბის ერთმანეთისაგან დაშორების ოპერაცია. როგორც ტორინოდან იუწყებიან, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის პრესა დღეს კვლავ აქცენტებს მასალებს, რომელიც დაკავშირებულია გამარჯვების დღის დღესასწაულთან საბჭოთა კავშირში. „9 მაისის დღესასწაული, — წერს პარიზის „**ლუმანიტე**“, — ერთსა და იმავე დროს იყო დაუვიწყარი სანახაობა და სერიოზული გაფრთხილება ამერიკელ ომის მოტრფიალეთათვის“.

გაზეთი „ნასიონი“ ნამდვილ სენსაციას უწოდებს საბჭოთა რაკეტების გაშვების დემონსტრაციას მოსკოვის ტელევიზიით. ამას უთმობენ ყურადღებას დღეს აგრეთვე ამერიკის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა გაზეთები.

საზღვარგარეთის ბევრი გაზეთი აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვას ყველა ქვეყნის მთავრობების, პარლამენტებისა და ხალხებისადმი, რომელიც შეიცავს მოწოდებას — აქტიურად იმოქმედონ მშვიდობის დასაცავად. „საბჭოთა კავშირის მიმართვა, — წერს ვარშავის „**ტრიბუნა ლუდუ**“, — მხურვალე მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი — ბა გადაეღობონ აგრესიისა და სამხედრო ავანტიურებს. იგი აღნიშნავს, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მშვიდობის განსამტკიცებლად“. კომენტარს ამავე თემაზე, რომელიც მოთავსებულია გაზეთ **„გლოს პრაციში“**, სათაურად აქვს: „მოწოდება გონიერებისადმი“.

ბულგარეთის მთელი პრესა დაწვრილებით აშუქებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმ

ახალი პიესები · სტოპიები

ჩვენი ინტერვიუ

ოთხი ქალაქი — ოთხი სპექტაკლი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. **ფდია ამირანაშვილი** ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის საოპერო თეატრების ხშირი სტუმარია. უკანასკნელი წლების განმავლობაში მოგზაურობს გასტროლები ჰქონდა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდონეზიაში, ბულგარეთში. რამდენიმე დღეა იგი რუმინეთიდან დაბრუნდა. გუშინ მედია ამირანაშვილმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს უამბო:

— რუმინეთში მხოლოდ ათი დღე ვიყავი. გამოსვლა მომიხდა ოთხ ქალაქში (იასი, ტიმიშოარა, კლუჟი, ბუქარესტი). საგასტროლო რეპერტუარში მქონდა ოთხი სპექტაკლი — „ფაუსტი“, „ტრუბადური“, „ბოჰემა“, „ევგენი ონეგინი“. თბილისელები იცნობენ რუმინელ მომღერლებს, მათ შორის ვლადისლავ კონიას და ტიტუს მორაროუს. ამიტომ ჩემთვისაც სასიამოვნო იყო მათთან ერთად გამოსვლა რუმინეთში. კონია ჩემი პარტნიორი იყო პ. ჩაიკოვსკის ოპერაში, ხოლო მორაროუ ვერდის ოპერაში.

ემაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ახეთი გასტროლები და საერთოდ კულტურული თანამშრომლობა, რომელმაც უკანასკნელ წლებში ფართო ხასიათი მიიღო, ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და მეგობრობის განმტკიცებას.

შემდეგ მომღერალს მომავლის შემოქმედებით გეგმებზე შევეკითხეთ, მან გვითხრა:

— მართალია, ბულგარეთიდან მიწვევა მაქვს მოღებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით საგასტროლოდ გამგზავრებას არსად არ ვაპირებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსკოვს, სადაც დიდი თეატრის ხცენაზე ვიმღერებ ოპერა „ტრავიატაში“ (15 ივნისს).

მალე თბილისელები ნახავენ ოპერა „მინდიას“ (ახალი დადგმით), ჩაიკოვსკის „იოლანტას“ და მოცარტის „დონ-ჟუანს“. ამ სპექტაკლებში მეც ნივღლებ მონაწილეობას.

კინოსტუდია ქართული ფილმი იღებს „აბესალომ და ეთერს“ (რეჟისორი ლეო ესაკია). ამ ფილმში ეთერის პარტიის გამმზოვანებლად ვარ მიწვეული. მონაწილეობას მივიღე წლევანდელ ამერიკაკავასიის მუსიკალურ გაზაფხულში. ასეთია უახლოესი მომავლის გეგმები.

ომგადახდილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

დიდი სამამულო ომის დამთავრების 20 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა და სტუდიების სახელმწიფო გალერიამ მოაწყეს ომგადახდილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

50 ომგადახდილი მხატვარი იღებს მონაწილეობას ამ გამოფენაში, — ისინი, ვინც ომის მრისხანე წლებში მიატოვა ფუნჯი და სჭრისი, ჩაიცვა მეომრის ფარაჯა და ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ბევრი ქართველი მხატვარი ვერ ეღირსა ამ ბედნიერი დღის ზეიმს, ბევრმა მათგანმა უცხო ქვეყანაში ჰპოვა საუკუნო სავანე, მაგრამ მათი ხსოვნა, მათი მოგონება ყოველთვის რჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში. აი აქაც გამოფენის ცენტრში საპატიო ადგილს მოთავსებულია ომში დაღუპული მოქანდაკეების რ. თავაძის „მხატვრის პორტრეტი“ და გ. ცომაიას — შოთა რუსთაველის ბიუსტი.

ომგადახდილმა მხატვრებმა ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, კერამიკის, დეკორაციული ხელოვნების 300-მდე ნამუშევარი წარმოადგინეს.

ათვალიერებთ გალერეის დარბაზებში გამოფენილ ამ ნამუშევრებს, და იხიბლებით მშობლიური ქვეყნის ლამაზი პეიზაჟებით. ჩვენი თანამედროვე ადამიანი, მშვიდობიანი შრომა, სიყვარული და სილამაზე, მეგობრობა და გმირობის ხოტბა — აი რა არის ამ ნაწარმოებთა თემა. ყურადღებას იქცევს გ. ურუმაშვილის „დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი“, ტ. ბარდაძის „ლენინი და კაკაძე“, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების სამამულო ომის იხვალდის ა. ყენტის „რუსთაველ პეიზაჟი“, დ. გაბიტაშვილის „მეჩიღები“, მხატვრების ვ. ადეაძის „ძველი თბილისი“, ლ. ზარიძის „მეზღვაურები“.

სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილი ბ. მანაგაძის „ბერლინის დაცემა“, გ. კუკულაძის — „სევასტოპოლის ჩანახატები“, ტ. მკურნალის — „ბოროდინოს ველზე“, გ. ბოჭოიძის — „მსხვეპლი“.

ქანდაკებებიდან საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს ო. ფარულავამ, ა. ჟორდანიამ, გ. კორძახიამ, მ. ყიფიანმა. დეკორაციული ხელოვნებიდან — აღსანიშნაია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. თავაძის რუსთაველის თეატრის დადგმების ესკიზები, ხოლო კერამიკიდან — გ. ქართველიშვილის ნამუშევრები.

გამოფენაზე მონაწილეობენ ომგადახდილი მხატვარი ქალები — გრაფიკოსები რ. ბოჭორიშვილი, ე. თულაშვილი, ვ. ბელეცკაია.

საქართველოს კურორტები კარგად მოემზადნენ გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის. აშენდა ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საბავშვო შენობები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები, კეთილმოწყობილია საზღვაო პლაჟები. შავი ზღვის სანაპიროს მთელ რიგ კურორტებზე მოწყობილია სათბურები, რომლებიც ადრე გაზაფხულდანვე შეუდგენენ ჯანმრთელობის კერების მომარაგებას ახალი ბოსტნეულით.

სურათზე: აჭარის დედაქალაქის ზღვისპირა ბულვარზე აგებული სასტუმრო-პანსიონატი „ბათუმი“. აქ ერთდროულად შეიძლება მთთავსდეს 250 კაცი.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ომის ვეტერანები მოსწავლეებთან

ამ დღეებში თბილისის კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოეწყვა სამამულო ომის ვეტერანებს თადარიგის გენერალმაიორ ა. სილაგაძეს, თადარიგის მეთაურებს ლ. გოგიტიშვილს, დ. მაჭარაძეს, ა. ჯულოხიეს, ნ. თედიაშვილს, პ. გოგოლაძეს, გ. ხომასურიძეს და ვ. ყურაშვილს. ამავე სკოლის პედაგოგებს — ვ. ბარდაველიძეს, გ. ჭობულაძეს, ა. ბიბილურს და ა. კუჭავას.

ვეტერანებთან შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ამავე სკოლის დირექტორმა უ. მეტრეველმა.

სტუმრები მივსალმა მეოთხე კლასის პიონერი ნ. ცაცანაშვილი. მოსწავლეებმა საპატიო პიონერებად აირჩიეს ომის ვეტერანები და ყველასხვეკვები გაუკეთეს მათ.

ქართველ მეომართა გმირობაზე მოსწავლეებს ბევრი საინტერესო, ამაღელვებელი ეპიზოდი უამბო ი. სილაგაძემ. აგრეთვე სიტყვით გამოვიდა პარტიზანი, მეტყველიმფრქვეველ ვ. რეხვიაშვილი.

დასასრულ მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

ა. ლაშქარაძე.

მოკლედ

△ **სამხრეთ** ოსეთის კავშირა. ბაბიოლოგის მუშაკებმა კარგი სამაისო სარეკორდო მოუმზადეს ცხინვალელებს. ამუშავდა ცხინვალ-თბილისის ფოტოსატელეგრაფო ხაზი.

ა. ტიგიეევი.

△ **რუსთავის** ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გაიხსნა მინერალური წყლების სპეციალიზებული მაღაზია. აქ იყიდება ბორჯომი, ზვარე, ნაბეღლავი, სკური და სხვა მინერალური წყლები.

თ. ჯალაღონია.

△ **თერჯოლის** კულტურის სახლის კოლექტივმა და საესტრადო ბრიგადამ, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ აბაშიძე ხელმძღვანელობს, მოამზადეს და თერჯოლელ მაყურებლებს უჩვენეს მ. გოგიაშვილის, პ. გრუზინსკის და ლ. ჯუბაბარის ორმოქმედებიანი საესტრადო მიმოხილვა, ამ საესტრადო პროგრამას უჩვენებენ აგრეთვე რაიონის მშრომელებს სოფლებში ჩხარეში, ძევრში, საზანაში, ჭოგნარში.

ვ. კუტალაძე.

სტუდენტმა „ზაპოროჟეცი“ მოიგო

ქ. ოჩამჩირის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმის მეორე კურსის სტუდენტმა, გალის რაიონის სოფელ გუდავას მცხოვრებმა ვასილ ხუბუამ წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის (მეოთხე გამოშვების) ლატარიის ბილეთი № 420, სერია № 07760. ბილეთს მოგებად ხვდა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

მ. ჭოჭუა.

მ. კახეთელიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სტატისტიკის განყოფილების გამგემ **მიხეილ კუზმას-ძე კახეთელიძემ** საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„საქართველოს სსრ საკოლმეურნეო პროდუქტიული მეცხოველეობის ეკონომიკის ძირითადი პრობლემები“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. კახეთელიძისათვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

მუსიკოსთა ახალი თაობა

თუ რა დიდი და მრავალმხრივი სარგებლობა მოაქვს ანსამბლებში მონაწილეობას მუსიკოსისათვის, მით უმეტეს მისი განვითარების პირველ პერიოდში, უკვე დიდი ხანია ცნობილია. მუსიკის უდიდესი წარმომადგენლები ბახი, ჰენდელი, ბეთჰოვენი, მუსორგსკი, ჩაიკოვსკი ორკესტრებისა და გუნდების უშუალო მონაწილენი იყვნენ და მათ ხელმძღვანელობდნენ კიდეც.

ზ. ფალიაშვილიც ხომ თავის დროზე ი. რატილის გუნდში მღეროდა, შემდეგ ორკესტრში უკრავდა ვალტორნას, ბოლოს კი გიმნაზიაში თავმოყრილ ქართველ ახალგაზრდობას ხალხურ საგუნდო სიმღერას ასწავლიდა. გიმნაზიის გუნდში აღიზარდნენ და მომავალში საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ფერხულში ჩადგნენ გ. კილაძე, ი. ტუსკია, ლ. ონანაძე, შ. ასლანიშვილი, გ. ჩხიკვაძე და სხვები.

შესანიშნავი საქმისათვის მოუკიდია ხელი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელობას, რომელსაც ახალგაზრდა ლოტბარ-მუსიკოსთა აღზრდისა და დოსტატებისათვის მტკიცე საფუძველი შეუქმნია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს სასწავლებელი უკვე დიდი ხანია ეწევა ამგვარ მუშაობას. მაგრამ ის, რაც ჩვენ ამას წინათ სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოვისმინეთ, ყოველგვარი ქებისა და წაბალისების ღირსია. მეორე სამუსიკო სასწავლებელმა ამ საღამოს გვაჩვენა თავისი სიმფონიური ორკესტრი და გუნდი. მართალია, ორკესტრში და გუნდში რამდენიმე პროფესიონალიც ერია, რომლებიც ბავშვებს ეხმარებოდნენ, მაგრამ ეს ბუნებრივია.

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო ერთი ნაწილი ი. ს. ბახის მცირე სი-მინორიდან სიმფონიური ორკესტრისა და გუნდის მონაწილეობით. ამ გიგანტურობრივ მუსიკას, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს მსმენელებს საუკუნეთა საუკუნეზედ თავისი ამაღლებული ტონით, ზესწრაფვის სურვილით და მუსიკალური მასალის მაღალი კეთილშობილებით, დირიჟორობდა მოსწავლე ცისანა ძეკამიძე.

მეორე ნომრად მოგვისმინეთ ი. ბრამსის „ავე მარია“, რომელსაც ქალთა გუნდი და ორკესტრი ასრულებდნენ. აქაც თავი ისახელა ახალგაზრდა დირიჟორმა, მოსწავლემ იგორ ბეზროდნიმ. შესრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს გუნდის ალტებმა. აქ ალტების ბატონა მნიშვნელოვანია და ახალგაზრდა ლოტბარმაც კარგად „ამოსწია“ იგი. ორკესტრი შეწყობილად ხმოვანებდა, მას ეტყობოდა სათანადო მომზადება.

ერთ-ერთ შემდეგ პროგრამაში ვიოლინის კონცერტი მოგვეგლინა, სამი ვიოლინისა და ორკესტრისათვის დაწერილი. სამი მოსწავლე ვიოლინისტი ე. გოჩიაშვილი, ვ. ვლასოვი და ე. შაქაროვი ერთმანეთს ეჯიბრებოდა შესრულებაში. მაგრამ მაინც ე. გოჩიაშვილმა მიიპყრო მსმენელთა ყურადღება ვიოლინის დაკვრის კარგი ოსტატობით, გაბედულებით და არტისტიზმით.

ორკესტრის ხელმძღვანელმა გ. ბაბალუმიანმა, ეტყობა, ბევრი დრო მოანდომა ასეთი ჩამოყალიბებული ანსამბლის მომზადებას. ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ მისი ხელმძღვანელობით ორკესტრმა მაღალ დონეზე შეასრულა ვივალდის საგიოლინო კონცერტი და ი. ჰაიდნის საინტერესო „დივერტისმენტი“, რომელიც რამდენიმე ნომრისაგან შედგება. ორკესტრმა აჩვენა დახვეწილი გემოვნება, ოსტატობა და ნაწარმოების ნაწილების მრავალფეროვნება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვირტუოზულად დაწერილი ფინალი.

მეორე განყოფილება მთლიანად საგუნდო ნაწარმოებებს დაეთმო. რ. ლალიძის სახელმოხვეჭილ „კანტატას საქართველოზე“ და შ. მილორავას ნიჭიერად დაწერილ „კანტატას საქართველოზე“ ხელმძღვანელობდა ეთერ ციციშვილი — სადირიჟორო ოსტატობას საკმაოდ დაუფლებული მოსწავლე, რომელმაც ძლიერად გამოაჩინა ორივე ნაწარმოების ნაირფეროვანი ადგილები და საგუნდო ხმების შეხმატკბილება.

ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“ კარგად ხმოვანდება ქალთა გუნდი — „ვარდთა და ნეხვთა“ (ლოტბარი ი. ბეზროდნი). ორატორია „კიკასიონიდან“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გუნდი „თენდება“ შესრულა ცისანა ძეკამიძემ, უდავოდ ნიჭიერმა და თავისებურმა ლოტბარმა, რომელსაც „ეაქაცურად“, გაბედულად უპყრია ხელში გუნდის რთული სადაეები. განსაკუთრებით დიდებული იყო მზის ამოსვლის ცოცხალი სურათი.

კონცერტის დასასრულს შესრულდა ა. ჩიმაკაძის კანტატა — „ქართლის გული“, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რაც კი დაწერია საქართველოში უკანასკნელ წლებში. მის შესრულებას ხელმძღვანელობდნენ ელიზ მესხია (I ნაწილი), ნანა ჩიტაიშვილი (II ნაწილი), ეთერ ციციშვილი (III ნაწილი) და იგორ ბეზროდნი (IV ნაწილი). ყველა დირიჟორი თავის სიმაღლეზე იდგა. კანტატა შესრულდა საკმაოდ მაღალ დონეზე, განსაკუთრებით ფინალი.

გუნდის საქმის საუკეთესო სპეციალისტი, აწ განსვენებულ გიორგი ხანანაშვილის საყვარელი მოწაფე, უდიდესი რომანტიკოსი და ენთუზიასტი საგუნდო საქმისა **გიორგი კაპანაძე** სათავეში უდგას საგუნდო ლოტბარების მომზადების საქმეს და თვით გუნდსაც ხელმძღვანელობს. მას გვერდში უდგანან საუკეთესო პედაგოგები გ. ბუხრიკიძე, ნ. მწითლავიშვილი და ლ. აბაშიძე, რომლებიც მართლაც სასარგებლო საქმეს აკეთებენ. გაეხსენთო, რა უშუგშო მდგომარეობა გვქონდა ათიოდე წლის წინათ. ახლა ეს ხარვეზი გამოსწორებულია. მართლაც, მეორე სამუსიკო სასწავლებლის მაგალითი ამ მხრივ მისაბაძია.

ა. ჩიმაკაძის კანტატაში სოლისტის პარტია გრძნობით შესრულა თამარ მიქავამ. კონცერტის საგუნდო ნომრებს თანხლებას უკეთებდნენ ტ. პეისი და გ. მიკირტიჩიანი. მათი ღვაწლი დიდია. კონცერტმეისტერის უდავოდ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გარედან არა ჩანს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი მუსიკის მომზადება მის კისერზეა.

შეიძლებოდა ერთი მეგობრული შენიშვნის გამოთქმა. ჩუმი და ნაზი შთანაფიქრის დროს მუსიკაში როიალის თანხლებაც შესატყვისი უნდა იყოს. ეს არ იგრძნობოდა „ვარდთა და ნეხვთას“ და ა. ჩიმაკაძის კანტატის მესამე ნაწილის („ძველ გალავანთან“) შესრულებაში. როიალის პარტია შეუკავებელი და ხმამაღალი იყო.

ისე კი მეორე სამუსიკო სასწავლებლის ზემოთაღნიშნული კონცერტის მოწყობა ყოველმხრივ მისასალმებელია. სასურველია ხშირად მოგვასმენინონ ხოლმე ასეთი კონცერტები. ახალგაზრდა ლოტბარები, რომლებიც ამჟამად IV კურსზე არიან და მალე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვლენ, ბევრს სიხარულს მოგვანიჭებენ მომავალშიც.

შ. მშველიძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი განყოფილების (ქართული სექტორი) შემდეგ სპეციალობებზე:

ისტორია, სამართლისმცოდნეობა, მრეწველობის დაგეგმვა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, ვაჭრობის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, საბუხჰალტრო აღრიცხვა, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია.

დაუსწრებელ განყოფილებაზე საკონკურსო შერჩევის წესით მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი განუსაზღვარელად ასაკისა, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება, წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და წარმოადგენენ დადებით დახასიათებას.

შემსწავლელი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

ა) **ისტორიის და სამართლისმცოდნეობის სპეციალობებზე** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, სსრკ ისტორია (ზეპირი)*;

ბ) **მრეწველობის დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის და საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, გეოგრაფია (ზეპირი)*

გ) **სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე** — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი)*.

შენიშვნა. ვარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე არსებული ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებული ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2) დახასიათება უნივერსიტეტში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ, 3) ავტობიოგრაფია; 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უმუშოდ, ზომა 3X4 სმ., დამოწმებული); 6) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის (აღნიშნულ საბუთს შემადგენს ის პირი, ვისაც აქვს საწარმოო მუშაობის სტაჟი უნივერსიტეტში არჩეული ან მონათესავე სპეციალობით არანაკლებ 2 წლისა).

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს შემომსელელები წარმოადგენენ პირადად.

1965-66 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღება იწარმოებს ორ ნაკადად.

განცხადებების მიღება პირველ ნაკადზე ა. წ. 10 მაისიდან 5 ივნისამდე ჩათვლით, **მეორე ნაკადზე** — 10 მაისიდან 25 ივლისამდე ჩათვლით, ყოველდღე (გარდა კვირაოდღეებისა) 10-დან 15 საათამდე. **მისაღები გამოცდები პირველი ნაკადისათვის** 7 ივნისიდან 16 ივნისამდე, **მეორე ნაკადისათვის** — 1-დან 10 ოქტომბრამდე.

მეორე ნაკადი დაუსწრებელი განყოფილების ყველა სპეციალობაში გათვალისწინებულია მხოლოდ იმ აბიტურიენტებისათვის, ვინც საშუალო განათლების დამთავრების დოკუმენტს მიიღებს მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებისას, როცა პირველი ნაკადის შესასვლელი გამოცდები დამთავრებული იქნება, და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებიდან 1965 წელს დემობილიზებულთათვის.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის სამდივნოში (1 კორპუსი, 1 სართული) 15-დან 16 საათამდე.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, ტელეფონი: ქვესადგური № 2-23-71.

მაჯჩები მოსკოვსა და მინსკში

10 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ბაკოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

მინსკის დინამოელებს ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელები ეწვივნენ. მასპინძლები სტუმართმოყვარენი არ აღმოჩნდნენ — მათ სამი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში ისე, რომ საკუთარში არც ერთი არ მიუღია.

რესპუბლიკურ ჩემპიონატზე

გუშინდელ მეთერთმეტე ტურში ვერცერთმა ლიდერმა ვერ შეძლო მოგება. რ. ხოლმოვმა შავებით სწრაფად გაათანაბრა მდგომარეობა და ყაიმზე შეუთანხმდა ე. მიქაელიანს. მეორე გროსმაისტერი ე. ვასიუკოვი რამდენადმე უარეს პოზიციაში აღმოჩნდა ა. ბუსლაევთან, მაგრამ ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დამთავრდა ბ. გურგენიძე-გ. გამრეკელის და რ. ჯინჯიხაშვილი-ა. ბოკუჩავას პარტიები.

ი. ვეტოხინისა და ო. ელიოზიშვილის შეხვედრაში პოზიციური უპირატესობა დიდხანს თეთრებს ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვეს. ო. ელიოზიშვილმა ენერგიულად ჩაატარა პარტიის დასასრული და გაიმარჯვა. ნ. გაფრინდაშვილმა პაიკი შეწირა ესპანურ პარტიაში გ. მაჭავარიანს. შავებმა დაუბრუნეს მსოფლიო ჩემპიონს ეს „მსხვერპლი“ და თანდათანობით ხელთ იგდეს ინიციატივა. გ. მაჭავარიანის ორი ეტლი თეთრების ლაზიერზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მალე თეთრებს დანებება მოუხდათ. თამაზ ვეიორგაძემ მოუგო ა. ჩხაიძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თერთმეტი ტურის შემდეგ 8-8 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ბ. გურგენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი.

ბაკურიანი

გამოვლინდნენ სსრკ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალისტები, რომლებსაც მაისის ბოლომდე საკუთარ მოედნებზე შეხვედრები ექნებათ „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებთან.

მეთექვსმეტიდფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: 16 მაისს — „ლოკომოტივი“ (ვინიცა)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), 19 მაისს — „დენსა“ (ჩერნიგოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაკო), 14 მაისს — „კარატი“ (ალმა-ათა)-„ჩერნომორეცი“ (ოდესა), 15 მაისს — „ავანგარდი“ (ტერნოპოლი)-სკა (ლონის როსტოვი), 13 მაისს — „ლოკომოტივი“ (ხერსონ)-„დინამო“ (მინსკი), 19 მაისს — „შახტიორი“ (ყარაგანდა)-„ტორპედო“ (მოსკოვი), 16 მაისს — სკა (ნოვოსიბირსკი)-„დინამო“ (კიევი), 15 მაისს — „კარპატი“ (ლვოვი)-„შახტიორი“ (დონეცკი), 15 მაისს — „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუევი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), 16 მაისს — „ტავმაში“ (კოსტრომა)-სკა (ოდესა), 17 მაისს — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), 22 მაისს — „დინამო“ (სოხუმი)-„დინამო“ (თბილისი), 19 მაისს — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა)-„დინამო“ (მოსკოვი), 22 მაისს — „დინამო“ (ლენინგრადი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი).

მეოერედფინალური მატჩები გაიმართება 30 მაისს, მეოთხედფინალები — 9 ივნისს, ნახევარფინალები — 6 აგვისტოს, ფინალი — 14 აგვისტოს.

საქართველო — რუმინეთი

ამ დღეებში თბილისს ეწვივნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები და ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის ტანვარჯიშის დარბაზში გამართეს საერთაშორისო შეხვედრა საქართველოს გუნდთან.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. პირად შეჯიბრებაში ქალთა შორის თავიდანვე დაწინაურდა საქართველოს მრავალგზის რემპიონი ა. ჯანუაშვილი და პირველი ადგილიც მან მოიპოვა. ვაჟთა შორის ძირითადი მეტოქეობა მ. ბოგუსსა და ნ. მაკალათიას შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვა მ. ბოგუსმა.

კომუნისტი სპორტი

სსრ კავშირის თასზე

ვინ ვის შეხვდება

სტარტზე არიან სტუდენტი სპორტსმენები

სტუდენტთა მეოთხე სპორტული თამაშები დაიმთხვა დიდ დღესასწაულ — ფაშისტური გერმანიის განადგურების მეოცე წლისთავს. ეს შეჯიბრება თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესია. სტარტზეა 18 უმაღლესი სასწავლებლის 2.154 სტუდენტი სპორტსმენი.

პირველ ორ დღეს პაექრობა ჰქონდათ ფრენბურთელებს, ხელბურთელებს, კალათბურთელებს, მოჭადრაკეებს, შაშის მოთამაშეებს.

ხელბურთელთა ასპარეზობაში დაწინაურდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც ორი მატჩი მოიგო ზედიზედ. ქალთა გუნდებს შორის სამ-სამი ქულა აქვთ უნივერსიტეტისა და პუშკინის სახელობის ინსტიტუტის გუნდებს.

წარმატებით გამოდის თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი, რომელმაც ორი მატჩი მოიგო და ლიდერია. ქალთა გუნდებს შორის დაწინაურდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

წინ საინტერესო შეხვედრებია. სტუდენტთა პაექრობა 19 მაისამდე გაგრძელდება.

საიუბილეო სპარტაკიადა

9 მაისს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა „შრომითი რეზერვების“ საიუბილეო რესპუბლიკური სპარტაკიადა. იგი მიძღვნილია **პროფტექგანათლების სისტემის შექმნის 25 წლისთავისადმი.**

ფინალური ასპარეზობის პროგრამაში შედის სპორტის 14 სახეობა. მონაწილეობენ ქალაქებისა და რაიონების, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები. უკვე ჩაებნენ ბრძოლაში კალათბურთელები, აკრობატები, კლასიკური მოჭიდაველები, მძლეოსნები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

სპარტაკიადა გრძელდება.

სპორტული ქრონიკა

△ **მშვიდობის** ველოსრბოლის მონაწილეებმა გაიარეს ოთხი ეტაპი. მეოთხე ეტაპზე გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა **ვლადისლავ პელერმა.** ველოსრბოლის ლიდერობას განაგრძობს **ა. პეტროვი.**

△ **ერევანში** გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის კიდევ სამი ჩემპიონი ძალოსნობაში. ესენი არიან **ა. კიდიაევი** (საშუალო წონა), **ა. კალინიჩენკო** (ქვემძიმე წონა) და **ეგბერტინსკი** (მძიმე წონა). **ა. შულეიოკინმ** (ქვემძიმე წონა) აკრა 187,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. გუშინ მძიმე წონაში **ვ. ანდრეევმა** აკრიბა 198,5 კილოგრამი და ამ სულ ახალი რეკორდი დაამყარა.

△ **ბელგრადი.** აქ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ინგლისისა და იუგოსლავიის ერთ-ერთ ნაკრებ გუნდებს შორის. საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრეით 1 : 1.

ჩუ ვიცინოთ, ჩუ ეოვისეირეთ

ტელევიზია

12 მაისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო დადგმა „დაკა დაფდაფს!“, 19.10 — გადაცემა „ეკრანთან ვიწვევთ მრეწველობის მუშაკებს“, 19.25 — კინონარკეკეი, 19.35 — პროპაგანდისტის წიგნის თარო, 19.50 — განცხადებები, 19.55 — ფეხბურთი „სტოკ-სიტი“ ინგლისი — „სპარტაკი“ მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — გადაცემა „სიმღერით გახსენება“, 22.15 — გადაცემა „დანტე ალიგიერი“ (დაბადების 700 წლისთავის გამო), 22.35 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 22.55 — გადაცემათა